საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/79 "26" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ნ. შარაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის №1/68 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 25 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 21 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 6 მოსამართლის, მათ შორის გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის - ნინო შარაძის განაცხადი. ნ. შარაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ და თბილისის საქალაქო სასამართლოებში, მათ შორის 8 წლის განმავლობაში იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მისი სამოსამართლო სტაჟი და გამოცდილება ქნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, ნ. შარაძეს აქვს საცხოვრებელი სახლი თბილისში, რაც არ გამოიწვევს დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ნინო შარაძე გათავისუფლდეს გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2020 წლის 1 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი